საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №2/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 18 იანვრის №2 საჩივრისა და -- --, -- --, -- --, -- -- 2021 წლის №3 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 20 იანვრის №2/21 გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^9 მუხლის საფუძველზე, დისციპლინური საქმეები №2 და №3 გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა №2.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 22 იანვრის №7/2-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრების შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 15 მარტის №2/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრების ავტორები აღნიშნავენ, რომ -- -- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის პროცესში, მოსამართლემ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, რაც გამოიხატა შემდეგში:

- მოსამართლემ 2021 წლის 18 იანვარსა და 25 იანვარს პრინციპულად ჩანიშნა სასამართლო სხდომები, არ გაითვალისწინა ადვოკატის პოზიცია სასამართლო სხდომის თარიღის შეცვლის თაობაზე;
- დაცვის მხარეს არ მისცა მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა;
- არ გაითვალისწინა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 322^5 მუხლით დადგენილი წესი. კერძოდ, 2020 წლის 30 სექტემბერს, -- -- მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლო სხდომა ჩატარდა დისტანციურად, სხდომათა დარბაზში უშუალო დასწრების გარეშე.

1.2. ამასთან, საჩივრების ავტორების განცხადებით, მოსამართლემ დაცვის მხარის მიმართ გამოიჩინა უპატივცემულო დამოკიდებულება და სასამართლო სხდომაზე არაერთხელ, დაუმსახურებლად მისცა შენიშვნა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 4 სექტემბერს, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, სისხლის სამართლის საქმე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწოვნის - -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

2020 წლის 23 სექტემბერს, -- -- სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა -- -- და ითხოვა მის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის განხილვის ჩატარება სასამართლო სხდომათა დარბაზში, ელექტრონული საშუალებების გამოყენების გარეშე.

სასამართლომ დააკმაყოფილა -- -- თხოვნა და 2020 წლის 24 სექტემბერს, წერილით აცნობა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს, რათა 2020 წლის 30 სექტემბრის 16:00 საათზე, -- -- სასამართლოს სხდომათა დარბაზში მომხდარიყო -- -- წარმოდგენა.

2020 წლის 30 სექტემბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა წერილით აცნობა -- -- სასამართლოს, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვირუსული მდგომარეობიდან გამომდინარე, 2020 წლის 30 მარტს, 16:00 საათზე, ვერ მოხერხდებოდა -- -- სასამართლოში წარდგენა და მხოლოდ დისტანციური წესით იყო შესაძლებლობა მისი პროცესში მონაწილეობა.

2020 წლის 30 სექტემბრის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ 2020 წლის 30 სექტემბრის სასამართლო სხდომა ჩატარდა დისტანციურად, -- -- სხდომათა დარბაზში უშუალოდ დასწრების გარეშე. ამავე სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ გამოაქვეყნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტის 2020 წლის 30 სექტემბრის წერილი, -- -- სასამართლო სხდომათა დარბაზში წარმოდგენის შეუძლებლობის შესახებ.

2021 წლის 15 იანვარს, -- -- სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარემ დაასრულა მოწმეთა დაკითხვის პროცესი. -- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- გადაწყვეტილებით მომდევნო სასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2021 წლის 18 იანვარს. 12 საათზე.

2021 წლის 17 იანვარს, -- -- სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ადვოკატმა -- -- და ითხოვა 2021 წლის 18 იანვარს და 25 იანვარს ჩანიშნული სასამართლო სხდომების სხვა დროისთვის გადადება. ადვოკატმა შუამდგომლობაში მიუთითა, რომ 2021 წლის 18 და 25 იანვარს, ჩანიშნული ჰქონდა სასამართლო პროცესები სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, -- -- სასამართლოში.

სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილია -- -- სასამართლოს მიერ 2021 წლის 13 და 14 იანვარს გაცემული ცნობები, რომლის თანახმად, დასტურდება, რომ:

- 2021 წლის 18 იანვარს 12:00-დან 14:00 საათამდე -- -- სასამართლოში ბრალდებულ -- -- ინტერესებს იცავდა ადვოკატი - -- --;
- 2021 წლის 25 იანვარს 12:00 საათზე -- -- სასამართლოში ბრალდებულების -- --, -- -- და -- -- ინტერესებს იცავდა ადვოკატი - -- --.

2021 წლის 18 იანვრის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა -- -- შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ ერთი ადვოკატის გამოუცხდადებლობა არ წარმოადგენს პროცესის გადადების საფუძველს, იმ პირობებში როდესაც დაცვის უფლება არ ეზღუდება (საქმის მასალები თანახმად, -- -- ინტერესებს იცავდა 4 ადვოკატი).

2021 წლის 18 იანვრის სასამართლო სხდომა გაგრძელდა -- -- სხვა ინტერესების დამცველი ადვოკატების - -- -- და -- -- მონაწილეობით.

2021 წლის 25 იანვრის სასამართლო სხდომა გაიმართა -- -- ადვოკატების: -- --, -- -- და -- -- მონაწილოებით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 15 მარტის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 18 იანვრის №2 საჩივრისა და -- --, -- --, -- --, -- -- 2021 წლის №3 საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას)“.

განსახილველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ დისციპლინურ გადაცდომასთან მიმართებაში, მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, როგორც სამოსამართლო ქცევის ეთიკური სტანდარტები, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. კერძოდ: საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების თანახმად, კომპენტენტურობა, გულისხმიერება და სამართლიანობა სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად განხორციელების წინაპირობებია.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარების მე-2 ღირებულების 2.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქცევა სასამართლო სხდომის მსვლელობისას და სასამართლოს შენობის გარეთ ხელს უნდა უწყობდეს და ამაღლებდეს საზოგადოების, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისა და სასამართლო პროცესის მხარეთა ნდობის ამაღლებას მოსამართლეთა და სასამართლო ორგანოთა მიუკერძოებლობისადმი, ხოლო მე-3 ღირებულების 3.2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის ქმედებები და ქცევა უნდა განუმტკიცებდეს საზოგადოებას სასამართლოს პატიოსნების რწმენას. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადოებაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლით განსაზღვრულია სასამართლო განხილვის ადგილი და უწყვეტობა. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს სასამართლო სხდომის დარბაზში. შემთხვევის ან სხვა ადგილის, ნაგებობის, ტრანსპორტის ან სხვა ისეთი ობიექტის დათვალიერების მიზნით, რომლის სასამართლო სხდომის დარბაზში მიტანაც შეუძლებელია, აგრეთვე დასაკითხი პირის მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით სასამართლო განხილვა შესაძლებელია მხარეთა შუამდგომლობით ჩატარდეს სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს წინასწარ მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332[5] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „2021 წლის 1 ივლისამდე პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომა სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, თუ: ა) ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თანახმაა; ბ) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩაუტარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს“.[1]

ა) განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი ერთ-ერთ გადაცდომად მიუთითებს, რომ მოსამართლემ არ გაითვალისწინა მისი სამუშაო გრაფიკი და მისი შუამდგომლობის მიუხედავად არ გადადო სასამართლო სხდომა სხვა დროისთვის.

აღნიშნულთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მხარის უფლებისა მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით სხდომის თარიღის შეცვლის თაობაზე, აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება განეკუთვნება მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილება.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსამართლის მიერ ადვოკატის - -- -- შუამდგომლობის არ დაკმაყოფილებით, საფრთხე არ შექმნია -- -- მიერ დაცვის უფლებით სარგებლობას. საქმის მასალებით დადგინდა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს იცავდა 4 ადვოკატი და 2021 წლის 18 და 25 იანვრის სასამართლო სხდომები გაიმართა -- -- სხვა ადვოკატების მონაწილეობით.

ბ) საჩივრის ავტორის მოთხოვნა, ასევე, შეეხება მოსამართლის მხრიდან დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობის შეზღუდვას, რაც გამოიხატა დაკითხვის პროცესში მოსამართლის მხრიდან არაგონივრული დროის განსაზღვრაში და უსაფუძვლო შენიშვნებით ზემოქმედების მოხდენის მცდელობაში.

სასამართლო სხდომის ოქმების აუდიოჩანაწერების დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სს საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მხარეებს ჰქონდათ თანაბარი შესაძლებლობები ეწარმოებინათ მტკიცებულებათა გამოკვლევა. მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში არამართლზომიერი ჩარევის ფაქტი არ გამოვლენილა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, დაცვის მხარე მოწმეებს მიმართავდა არარელევანტური კითხვებით, რაც ბრალდების მხარის პროტესტის საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად, მოსამართლის ჩართულობით, ზოგიერთ

[1] 2021 წლის 15 მარტისთვის მოქმედი რედაქცია

შემთხვევებში, ხდებოდა მოწმეებისთვის კითხვების არიდება, რაც გამომდინარეობს მოწმის დაკითხვის წესიდან. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაკითხვის დაწყებისთანავე მოწვევის ინიციატორმა მხარემ მოწმეს უნდა შესთავაზოს, თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. პასუხის გაცემისას მისი შეწყვეტინება დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი საუბრობს იმ გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით შეუძლია მისი შეჩერება. ამის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება დაკითხვის ინიციატორმა დაუსვას შეკითხვები ამ კოდექსის 244-ე მუხლის შესაბამისად. პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვა ამ კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნული გამორიცხავს დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენას.

გ) რაც შეეხება 2020 წლის 30 სექტემბრის სასამართლო სხდომას, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეში, ნამდვილად ფიქსირდება -- -- სურვილი, რომ საქმის განხილვა წარმართულიყო სხდომათა დარბაზში, მისი უშუალო მონაწილეობით.

აღნიშნულთან მიმართებაში, საქმის მასალებით უტყუარად დგინდება, რომ მოსამართლემ გაიზიარა -- -- სურვილი სასამართლო სხდომაზე ფიზიკურად დასწრების თაობაზე. 2020 წლის 24 სექტემბერს წერილით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს ეთხოვა -- -- 2020 წლის 30 სექტემბერს სასამართლო სხდომათა დარბაზში წარდგენის უზრუნველყოფა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტმა, -- -- სასამართლოს წერილობით აცნობა, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვირუსული მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფდა პატიმრის სასამართლოში გადაყვანას. შესაბამისად, -- -- სასამართლოს 2020 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე მონაწილეობა მხოლოდ დისტანციურად იყო შესაძლებელი. 3.2. რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მოსამართლე ადვოკატების მიმართ იჩენდა უპატივცემულო დამოკიდებულებას და სასამართლო სხდომაზე რამდენჯერმე დაუმსახურებლად მისცა შენიშვნა.

განსახილველ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს არის თუ არა სახეზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი - მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, ხოლო წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს კანონით განსაზღვრული სანქცია.

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებისა“ და მისი კომენტარების მე-6 ღირებულების 6.6ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად მოსამართლის მიერ ადვოკატის შეურაცხყოფის ან რაიმე ფორმით უპატივცემულობის გამოხატვის ფაქტი არ გამოვლენილა. ამრიგად,

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედებები არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №2/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი